ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7228513

ნომერი: AR11058849

თარიღი : 23.09.2024

გაცემის თარიღი : 26.09.2024

გაცნობის თარიღი : 01.10.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა, N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კირილე მორჩილაძე პ/ნ 01010006347
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ მ/რ კორპ.5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 აგვისტოს №7190227 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 23 სექტემბერს №AR11058849 განცხადებით მომართა კირილე მორჩილაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 22

აგვისტოს №7190227 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 10 ივლისის №7124249 ბრძანებით №01.18.13.037.233 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2024 წლის 22 ივლისის №7140619 ბრძანებით ზემოაღნიშნული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 22 ივლისიდან 2028 წლის 02 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2024 წლის 22 აგვისტოს №7190227 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 ივლისის №7124249 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 13062.14 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 3599.64 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1855.12 - კვ.მ., დამხმარე ფართობად - 209.76 კვ.მ., სასაწყობე ფართობად - 1323.08 კვ.მ., კომერციული ფართობად - 1496.49 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად 21546.23 კვ.მ. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდა ღია ავტოსადგომების ფართობი 1103.9 კვ.მ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 ივლისის №7124249 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 26 ივლისის №AR11049235 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 22 აგვისტოს №7190227 ბრძანებაში არ დაფიქსირდა ღია ავტოსადგომების ფართობი 1103.9 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2024 წლის 26 ივლისის №AR11049235 განცხადებაზე ველში „მოთხოვნის ტექსტი“ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ იქნა ღია ავტოსადგომების ფართობის 1103.9 კვ.მ-ის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირება.
ამასთან, სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 10 ივლისის №7124249 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმაზე დატანილია 79 ღია ავტოსადგომი, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 1103.91 კვ.მ-ს. თუმცა, ტენიკური შეცდომის შედეგად აღნიშნული სამსახურის 2024 წლის 22 აგვისტოს №7190227 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში არ ასახულა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 აგვისტოს №7190227 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 აგვისტოს №7190227 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 ივლისის №7124249 ბრძანებაში და: 1.1 ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 13062.14 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 3599.64 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1855.12 - კვ.მ., დამხმარე ფართობად - 209.76 კვ.მ., სასაწყობე ფართობად - 1323.08 კვ.მ., კომერციული ფართობად - 1496.49 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად 21546.23 კვ.მ. 1.2 ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 1103.9 კვ.მ.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 აგვისტოს №7190227 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 აგვისტოს №7190227 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.